საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №117/ნ

2020 წლის 23 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ქუთაისი, 5 ივლისი 2018 წ. №3024-რს) მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 210211, 21/02/2011; სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.016055) და ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (დანართი №1):

ა) მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 პუნქტი:

„14. თუ დაწესებულება ამ მუხლის მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნის სახით განსაზღვრავს შემოქმედებით ტურს/კონკურსს, იგი ვალდებულია შემოქმედებითი ტურის/კონკურსის შედეგები შესაბამისი წლის 30 ივნისამდე გაუგზავნოს ცენტრს. კონკურსის შედეგების შესახებ ცენტრს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ელექტრონული ფორმით, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) აკადემიური პროგრამის ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის საიდენტიფიკაციო კოდი;

ბ) აკადემიური პროგრამის ან/და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;

გ) აბიტურიენტის პირადი ნომერი, სახელი, გვარი;

დ) შემოქმედებით ტურში/კონკურსზე მიღებული ქულა;

ე) ცენტრის მიერ მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია, რომელიც არ იქნება დაკავშირებული პერსონალურ მონაცემებთან.“;

ბ) 31-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^2 პუნქტი:

„2^2. იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც დაშვების დამატებითი მოთხოვნის სახით დაწესებულების მიერ, ამ დებულების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაზღვრულია შემოქმედებითი ტური/კონკურსი, კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში აბიტურიენტის გადანაწილება ხდება ამ პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩასარიცხად გამოცხადებული ადგილების რაოდენობის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი შემოქმედებითი ტურის/კონკურსის შედეგების, აბიტურიენტის მიერ მიღებული საკონკურსო ქულის, აბიტურიენტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის ჩამონათვალისა და საგამოცდო

საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტის/კოეფიციენტების, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, აგრეთვე, საგნების პრიორიტეტულობის გათვალისწინების საფუძველზე.“.

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის მინისტრი **მიხეილ ჩხენკელი**